მარად უჭკნობი დიდება!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 108 (13800) | სამშაბათი, 9 მაისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

პლაკატი ბ. იაშვილისა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1967 წლის 9 მაისი № 112 ქ. მოსკოვი

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲝ და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

არმიისა და ფლოტის ვეტერანებო, დიდი სამამული ომის ყველა მონაწილეებ!

დღეს საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ გამარჯვების დღესასწაულს. გავიდა ოცდაორი წელი მას შემდეგ, რაც ფაშისტური გერმანია, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი გაიჩაღა, სასტიკად დამარცხდა და უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინა. საბჭოთა ხალხმა და მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა თავიანთ მხრებზე გადაიტანეს განვლილი ომის ძირითადი სიმძიმე, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში. ფრონტზე და ზურგში ჩვენი ხალხის უმაგალითო გმირობა საუკუნეებში იცოცხლებს.

დიდ სამამულო ომში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გამარჯვება დიდი ოქტომბრით შობილი საბჭოთა წყობილების უძლეველი ცხოველმყოფელი ძალის მკაფიო დადასტურებაა, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია.

მეორე მსოფლიო ომში გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. მკვეთრად შესუსტდა საერთაშორისო იმპერიალიზმის პოზიციები, შეიქმნა ხელშემწყობი პირობები იმისათვის, რომ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები დასდგომოდნენ სოციალიზმის გზას, გაშლილიყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ომისშემდგომი წლების მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დიდი წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებაში. ახლა საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ემზადება ღირსეულად შეხვდეს ღირსშესანიშნავ თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეოპოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფა, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცება, მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. მაგრამ ეს პოლიტიკა, რომელიც ახლობელი და გასაგებია მთელი მშრომელი ხალხისათვის, აწყდება აგრესიული იმპერიალისტური წრეების ხერიოზულ წინააღმდეგობას, რომლებიც ცდილობენ კვლავ თავს დაატეხონ მთელ კაცობრიობას სიცხლისმფლეველი ომი.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები დღითიდღე აფართოებენ ხიომარ მოქმედებას ვიეტნამში, აძლიერებენ დაძაბულობას მსოფლიოს სხვა რაიონებშიც.

ამ ბოლო დროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სულ უფრო მაღლა სწევენ თავს ნაციზმისა და მილიტარიზმის ძალები. ფედერალურმა მთავრობამ ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვია რევანშისტულ პოზიციებს ევროპაში არსებული საზღვრების საკითხში, კვლავ პრეტენზიას აცხადებს დასავლეთ ბერლინზე, დაჟინებით ცდილობს ხელთ იგდოს ატომური იარაღი. მისი საგარეოპოლიტიკური კურსი შეიცავს გერმანიის იმპერიალიზმის ტრადიციული პოლიტიკის დიდიხანია ცნობილ ნიშნებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებენ ამ გარემოებებს და ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს საშშობლოს უშიშროების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები მოძმე სოციალისტური ქვეყნების არმიებთან ერთად, თავიანთი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების ერთგულნი, მუდამ საბრძოლოდ არიან გამზადებული, საიმედოდ იცავენ სოციალიზმის დიად მონაპოვრებს.

მივესალმები და გამარჯვების დღესასწაულს ვუსურვებ საბჭოთა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას, დიდი სამამულო ომის ყველა მონაწილეს!

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 22-ე წლისთავის აღსანიშნავად ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑ:

დღეს, 9 მაისს, 21 საათზე ადგილობრივი დროით ჩვენი საშშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესასა და გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, აგრეთვე მურმანსკში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში მიცემულ იქნას სალუტი ოცდაათი საარტილერიო ზალპით.

დიდება გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი საშშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი Ა. ᲒᲠᲔᲩᲙᲝ.

ᲡᲐᲞᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს გამოფენილი საპონკურსო პროექტები ვ. ი. ლენინის ძეგლისა, რომელიც დაიდგმება კრემლში

8 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა დაათვალიერეს მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გამოფენილი საპონკურსო პროექტები ვ. ი. ლენინის ძეგლისა, რომელიც დაიდგმება კრემლში.

დათვალიერებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და საბჭოთა კავშირის მარშლები. (საკდესი).

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-კუბის ოქმს თანამშრომლობის შესახებ

17 აპრილიდან 7 მაისამდე მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-კუბის მოლაპარაკება.

მხარეებმა იხილმძღვანელეს საბჭოთა კავშირ-კუბის 1965 წლის 6 სექტემბრის შეთანხმებით თანამშრომლობისა და კუბის შაქრის მრეწველობის მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის შესახებ და შეთანხმდნენ და ხელი მოაწერეს ოქმს თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს განხორციელდეს კუბის რესპუბლიკის შაქრის მრეწველობის საწარმოთა რეკონსტრუქციის მეორე ეტაპი და იმას, რომ კუბის მთავრობას მიეცეს დამატებითი გრძელვადიანი კრედიტი მოწყობილობის მოწოდების ასანაზღაურებლად.

ოქმის ხელმოწერას დაესწრო კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობის, გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით. კუბის დელეგაციის ხელმძღვანელმა, შაქრის მრეწველობის მინისტრმა ორლანდო ბორეგო დიასმა სრული კმაყოფილება გამოთქვა შეთანხმების რეალიზაციის მსვლელობით და მოლაპარაკების შედეგებით. (საკდესი).

ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲛᲐ ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ვალტერ ულბრიხტს, ვილი შტოფს, იოჰანეს დიკმანს, ერიხ კორენსს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულთბილად ულოცავენ მათ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს ჰიტლერული ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების ოცდამეორე წლისთავს.

წელს, ნათქვამია დეპეშაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავის ეროვნულ დღესასწაულს — განთავისუფლების დღეს აღნიშნავს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ამასწინანდელმა VII ყრილობამ, გამოხატა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ურყევი მისწრაფება განუხრელად იარონ სოციალიზმის გზით, რომელიც მათ აირჩიეს, მიიღო განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების კონკრეტული პროგრამა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს შეუძლიათ დარწმუნებული იყონ, რომ მათ სოციალისტური საზოგადოების შემდგომ მშენებლობაში, ისევე როგორც წინათ, საბჭოთა კავშირის სახით ეყოლებათ ერთგული მეგობარი და საიმედო მოკავშირე.

ამხანაგებმა ვალტერ ულბრიხტმა, ვილი შტოფმა, იოჰანეს დიკმანმა, ერიხ კორენსმა ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნს, ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის სახელით და პირადად ძმურ სალამს უთვლიან და ულოცავენ მათ, საბჭოთა კავშირის ხალხებსა და სახელოვანი საბჭოთა არმიის ყველა სამხედრო მოსამსახურეს ფაშისტ აგრესორებზე ისტორიული გამარჯვებისა და ჰიტლერელთა ბარბაროსობისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 22-ე წლისთავს.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირს მჭიდრო ძმური ურთიერთობა წლითიწლობით ღრმავდება და სულ უფრო ნაყოფიერი ხდება. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნია ის, რომ კვლავაც ყოველი ღონე იხმაროს საბჭოთა კავშირთან მჭიდრო მეგობრობისა და საბრძოლო თანამეგობრობის შემდგომი გაღრმავებისათვის, სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიანობისათვის, შეკავშირების განმტკიცებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელები ყველა საბჭოთა მოქალაქეს უსურვებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო 50-ე წელს შემდგომ თვალსაჩინო წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში. (საკდესი).

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲒᲘᲖᲒᲘᲖᲔ, ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲝᲗ!



ᲒᲐᲘᲡᲜᲐ ᲫᲔᲒᲚᲘ „ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ“

ᲜᲐᲮᲔᲛᲐᲠᲘ წლის წინათ მოსკოველებმა თავი დაბარეს უცნობი ჯარისკაცის წინაშე, რომელიც 1941 წლის დეკემბერში მოსკოვის მისადგომებს იცავდა. მთელმა ჩვენმა ქვეყანამ პატივი სცა სამშობლოს შვილის გმირობას, მთელი ჩვენი ქვეყანა იყო კრემლის კედელთან, რომელმაც მიიბარა გმირის ნეშტი.

დღეს კი, 8 მაისს, ალექსანდრეს ბაღში ვხედავთ ძეგლს, იმდენადვე დიდებულს, რამდენადაც მიწიერს, თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის მახლობელს.

კედლის გაყოლებით უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვის ადგილამდე გადაჭიმულა რუხი ქვით დაგებული მოედანი. ცენტრშია საფლავის ქვის უზარმაზარი კვადრატი, წითელი გრანიტის ფილებით ნაგები. შუაში, შავ მარმარილოზე ბრინჯაოს დიდი ვარსკვლავია. ფორმით იგი იმ ოქროს ვარსკვლავებს ჰგავს, რომლებსაც მკერდზე ატარებენ საბჭოთა კავშირის გმირები. ვარსკვლავის ცენტრში ბრილია, რომელიც დღეს, ჩვენი გამარჯვების დღესასწაულის წინ მიიღებს დიდების ცეცხლს და შეინახავს მას საუკუნოდ.

მთავარი საფლავის ქვა მონუმენტური კომპოზიციის მხოლოდ ნაწილია. მის მარცხივ შინდისფერი კვარციტის კედელია, რომელზეც წარწერილია: „1941-1945 წლებში სამშობლოსათვის დაღუპულნი“. მარჯვნივ კი დაბალ გრანიტის კედელზე აღმართულია ექვსი მარმარილოს ბლოკი. ამ ბლოკებში მოთავსდება დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს მამაცი შვილების სისხლით მორწყული გმირი ქალაქების წმიდა მიწა.

მანეჟის მოედანზე შეიკრიბა ათეულ ათასობით მოსკოველი. ისინი ელიან საზეიმო წუთს, როცა გაიხსნება ძეგლი „უცნობი ჯარისკაცის საფლავი“.

ჩვენ კიდევ მოვალთ აქ, მოსკოვის ამ წმიდათა-წმიდა კუთხეში, რათა გიამბოთ იმ შთამბეჭდავ წუთებზე, როცა ძველი კრემლის კედელთან აგიგზავდება მარადიული დიდების ცეცხლი. ჯერჯერობით კი გიწვევთ ლენინგრადის გზატკეცილის მე-40 კილომეტრზე. იქ, სადაც დილაადრიან შეჩერდა ჯავშანტრანსპორტიორი, რომელსაც ლენინგრადიდან მოსკოვში მოაქვს მარადიული დიდების ცეცხლი.

... ჯავშანტრანსპორტიორი, რომელსაც მოაქვს წმიდა ცეცხლი, ანცერემონია, ჯავშანტრანსპორტიორი მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით ნელა იძვრის ადგილიდან და განაგრძობს გზას მოსკოვისაკენ.

...სიმშვიდე, სიჩუმე სუფევს გარშემო. ხან გამოჩნდება პატარა სოფელი, ხან დათესილი ყანა, ხან ახალგაზრდა ტყე.

ჯავშანტრანსპორტიორი ხიდს უახლოვდება. ხიდის წამწეგებზე შორიდან მოჩანს წარწერა: „მოსკოვი“. ჯავშანტრანსპორტიორი გადადის მდინარეზე. მარსის მინდორის ცეცხლი დედაქალაქშია!

ბევრი იმათგანის სახელი, ვინც განისვენებს მარსის მინდორზე, ისევე უცნობი დარჩა, როგორც იმ ჯარისკაცის სახელი, რომლის ნეშტი განისვენებს კრემლის კედელთან. სამშობლოს ჯარისკაცს, გმირს გამოუგზავნა რევოლუციის ქალაქმა თავისი ცეცხლი.

რაც უფრო უახლოვდება ჯავშანტრანსპორტიორი ქალაქის ცენტრს, მით უფრო მეტი ხალხია ტროტუარებზე. სამხედრო პირნი იძლევიან მეედრული სალამს, მამაკაცები იხდიან ქუდს.

განუზომელია იმ ადამიანთა მწუხარება, რომლებმაც ომში მახლობლები დაკარგეს. ისევე როგორც წინათ, როცა მოსკოველ უკანასკნელად ეთხოვებოდა უცნობ ჯარისკაცს, დღესაც ანთებულჩირაღდნიანი ჯავშანტრანსპორტიორის შესახვედრად გორკის ქუჩაზე ასობით მოსკოველი გამოვიდა.

ბელორუსიის ვაგზალი... მაიაკოვსკის მოედანი... პუშკინის მოედანი. უჩვეულო პროცესიას ცნობისმოყვარეობით ადევნებენ თვალს ბავშვები.

მოგონებანი აღელვებენ გულს, აიძულებენ ადამიანს კიდევ და კიდევ გადაავლოს ვონების თვალი გამარჯვების ძნელ გზას. გრძელი იყო ეს გზა იმ დღემდე, როცა ფაშისტური ვერმახტის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აქტს უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ და მთელი გერმანია თეთრი ალმებით დაიფარა. ეს იყო დიდი გამარჯვების დღე. ძვირად დაგვიჯდა ეს გამარჯვება. ახლაც კი, 22 წლის შემდეგ, როცა ადამიანები იხსენებენ იმ დღეებს, თვალი ცრემლით ევსებათ. რამდენი ჩვენი მამაცი ჯარისკაცი არ დაბრუნებულა შინ!

ჯავშანტრანსპორტიორს მარადიული დიდებისა და უკვდავების ცეცხლი მანეჟის მოედანზე შემოაქვს.

ალისფერი დროშები ფრიალებს მშრომელთა კოლონების თავზე. მწყობრში გარინდულან სამხედრო ქვეითანაყოფები. ათასობით მოსკოველი მოვიდა დედაქალაქის ყველა რაიონიდან, რათა დასწრებოდა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. ბევრი მათთანის მკერდს საბრძოლო ორდენები ამშვენებს. ვეტერანები იგონებენ 1945 წლის მაისის გამარჯვების დღეს, როცა ზღვა ხალხი გამოვიდა წითელ და მანეჟის მოედნებზე, ალექსანდრეს ბაღში, მთელ მოსკოვის ქუჩებში. ჯერ კიდევ მაშინ ხალხში გამოთქვამდნენ სურვილს, რომ სამშობლოს სახელოვანი დამცველების პატივსაცემად ძეგლი აგებულიყო.

დედაქალაქის მშრომელებთან და მათ სტუმრებთან ერთად არიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ბ. ი. პოროსოვი, ა. ა. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. კოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ი. ვ. კაპეტანოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი.

აქვე არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, ბ. ე. დომიშიკი, ვ. ა. კირილინი, მ. ა. ლესეჩკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, ი. ტ. ნოვიკოვი და ლ. ვ. სმირნოვი, ამხანაგები ა. ი. მიქოიანი და ნ. მ. შვერნიკი.

ჩვენ უხედავთ ცნობილ მხედართმთავრებს. მათ შორის არიან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი საბჭოთა კავშირის მარშალი მ. ვ. ზაპაროვი, საბჭოთა არმიისა და საზღვრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, საბჭოთა კავშირის მარშლები.

ძეგლის წითელ მარმარილოს ბლოკებთან საპატიო ყარაულში დგანან გმირი ქალაქების დელეგაციები. ისინი მთელი ჩვენი ქვეყნის სახელით დღეს დიდებით მოსავენ ჯარისკაცს, რომელმაც სიცოცხლე შესწირა მოსკოვს, საშშობლოს.

შეკრებილთ სიტყვით მიმართავ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანმა ნ. გ. იგნოროჩენკომ.

დღეს, გამარჯვების დღის წინადღეს, თქვა მან, ძველი კრემლის კედელთან, სადაც განისვენებს დიდი სამამულო ომის უცნობი გმირის ნეშტი, შეკვიერებით, რათა საზეიმო ვითარებაში გავსწინათ უცნობი ჯარისკაცის ძეგლი და მის საფლავზე ავანთოთ დიდების მარადიული ცეცხლი.

ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო ეს მეომარი — მოსკოველი ხარატი თუ დონბასელი მეშახტე, ციმბირელი მხვნელ-მთესველი თუ ურალელი მეფოლადე, ყაზახი მწყემსი თუ ბაქელი მენავთობე... მაგრამ ვიცით, რომ ეს იყო ჩვენი დიდი მრავალეროვანი საშშობლოს თვითეული ხალხის ერთგული შვილი.

არასოდეს არ მოიშლება ხალხის გზა ამ წმიდათა-წმიდა ადგილისაკენ. აქ მოვლენ ღრმად დამწუხრებული და სიამაყის „გრძნობით აღსავსე მოხუცი დედა, რომელმაც დაკარგა ვაჟი, ჯარისკაცის ქვრივი, რომელსაც ქმარი ვერარ დაუბრუნდა, ვაჟი, რომელსაც მხოლოდ ბავშვობისას უნახავს მამა. და მათთვის თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის, უცნობი ჯარისკაცი ყოველთვის იქნება უსაზღვროდ მშობლიური და მახლობელი.

უცნობ ჯარისკაცთან, როგორც თავიანთ თანაპოლკელთან, მოვლენ ფრონტელი მეგობრები, ომის ვეტერანები, რათა პატივი სცენ თანამებრძოლ ამხანაგს, მის ნათელ ხსოვნას. დღეს აქ, ამ საფლავთან, საპატიო ყარაულში დგანან ჩვენი სახელოვანი გმირი ქალაქების — ლენინგრადისა და კიევის, ვოლგოგრადისა და სევასტოპოლის, ოდესისა და გმირი ციხე-სიმაგრე ბრესტის დელეგაციები. მათ ჩამოიტანეს წმიდათა-წმიდა მიწა ძმათა საფლავებიდან და ბრძოლის ველებიდან, რათა სამუდამოდ დატოვონ იგი კრემლის კედელთან, უცნობი ჯარისკაცის ძეგლთან.

დაე ეს ძეგლი იყოს ომის ყველა გმირისადმი ხალხის უღრმესი პატივისცემის სიმბოლო, ყველა იმათდამი მარადიული მადლობის ძეგლი, ვინც თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენი საშშობლოს თავისუფლებას, ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

ძეგლი „უცნობი ჯარისკაცის საფლავი“ აიგო პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით. ვთხოვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს აანთოს დიდების მარადიული ცეცხლი დიდი სამამულო ომის დაღუპულ გმირთა პატივსაცემად.

დაუვიწყარი წუთებია. ჯავშანტრანსპორტიორთან, რომელმაც ცეცხლი ჩამოიტანა ლენინგრადიდან მოსკოვში, მიდის სახელგანთქმული მფრინავი, საბჭოთა კავშირის. გმირი ა. ვ. მარეესიევი. მარსის მოედნიდან ჩამოტანილი ცეცხლით იგი ანთებს ჩირაღდანს და მიაქვს უცნობი ჯარისკაცის საფლავისაკენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი იღებს მარადიული დიდების ცეცხლს. იგი ჩირაღდნით დაიხარა საფლავისაკენ, და ერთბაშად საფლავზე ანთო ცეცხლი. მარადიული ცეცხლი გიზგიზებს! საუკუნეებში იგიზგიზებს იგი და მოგვაგონებს საბჭოთა ხალხის უკვდავ გმირობას.

საბჭოს დაიკუბა არტილერიის სალუტმა. ქვემეხების გრიალი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია რადიომ მოსკოვის ფარგლებიდან შორს გაიტანა მთელი ჩვენი ქვეყანა დღეს მოსკოველებთან ერთად არის, მთელი ქვეყანა უსმენს და ხედავს დედაქალაქს.

გმირი ქალაქების მიწა კრემლის კედელთან მიიტანეს! ეს მიწა აღებულია ვოლგოგრადის ცნობილი მამაის ყორღანიდან და ბრესტის ციხე-სიმაგრის კედლებიდან, ლენინის ქალაქში პისკარევკის სასაფლაოდან და ოდესის დაცვის მიჯნებიდან, კიევის დაცვის მონაწილეთა ობელისკის მიწიდან და მალახოვის ყორღანიდან, სადაც გიზგიზებს სევასტოპოლის დიდების მარადიული ცეცხლი.

გმირი ქალაქების წარმომადგენლები მიწით სავსე ბრინჯაოს ამპულებს აწყობენ გრანიტის ბლოკებში და დგებიან საპატიო ყარაულში ჯარისკაცული უკვდავების ძეგლთან.

უცნობი ჯარისკაცის საფლავთან გვირგვინებია და ყვავილების მთელი ბორცვი აღიმართა. პირველი გვირგვინია სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან. ამ გვირგვინით საფლავი შეამკეს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა. აქვეა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს გვირგვინები...

მანეჟის მოედანზე საზეიმო მარშით ჩაიარეს მოსკოვის გარნიზონის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, სამხედრო მეზღვაურებმა, რომლებმაც სამხედრო პატივი სცეს გმირს.

დედაქალაქის მრავალმა ათასმა მშრომელმა ჩაიარა უცნობი ჯარისკაცის საფლავის წინ.

1967 წლის 8 მაისი — გამარჯვების დღის წინადღე — ღირსსახსოვარ ფურცლად ჩაიწერება მოსკოვის მატიანეში. ამ დღეს არ დავიიწყებენ ადამიანები, შვილებსა და შვილიშვილებს უამბობენ იმ ზეიმის შესახებ, რომელიც გაიმართა ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად.

მარადიული ცეცხლი გიზგიზებს მოსკოვში, როგორც სიმბოლო საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობისა, მასობრივი გმირობისა დიდი სამამულო ომის წლებში, როგორც მოწოდება წმიდად დავიცვათ მშვიდობა.

ნ. ᲨᲔᲚᲔᲮᲝᲕᲘᲩ, Ბ. ᲚᲣᲙᲘᲐᲜᲝᲕᲘᲩ, Ა. ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲔᲕᲘᲩ, Ლ. ᲤᲠᲝᲚᲝᲕᲘᲩ.

საკდესის კორესპონდენტები.

• • •

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 8 მაისი. საზეიმო გახსნა ძეგლისა „უცნობი ჯარისკაცის საფლავი“ დიდების მარადიული ცეცხლით.

საკდესის ფოტო.

(სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

> **მზე გმირის ხმალზე მბრწყინავი არასდროს დაიბინდება.**
>
> **გიორგი ლეონიძე.**

ისტორიული გამარჯვება

ვოლგის ნაპირებიდან ბერლინში მისულმა საბჭოთა არმიის მეომრებმა გამარჯვების დროშა ალმართეს დამხობილ რაიხსტაგზე.
ფოტო ე. ხალდეისა.

ოცდაორმა წელმა განვლო დიდი სამამულო ომის დამთავრების დღიდან. დიდიხანია შეწყდა ქვეშეხების ხალები, მიწაყარდა ტანკებისა და თვითმფრინავების მოტორების გრიალი, გადაიწმინდა მტვერი ომის გზებზე. მაგრამ კაცობრიობა არასოდეს არ დავიწყებს საბჭოთა ადამიანების ბუმბერაზულ საბრძოლო და შრომითს გმირობას.

...ომმა მოულოდნელად და მრისხანედ დაარღვია ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება. 1941 წლის 22 ივნისს განთიადისას ფაშისტური გერმანია ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა სსრ კავშირის ფარგლებში. იმავე დროს ჩვენს წინააღმდეგ საომარი მოქმედება დაიწყეს რუმინეთმა და ფინეთმა, ომი გამოგვიცხადა იტალიამ.

სსრ კავშირზე თავდასხმას საერთაშორისო იმპერიალიზმი დიდხანს და გულდასმით ამზადებდა. დასავლეთის აგრესიული წრეები, და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, აქტიურად უჭერდნენ მხარს და აიარაღებდნენ გერმანიის ფაშიზმს — მსოფლიო რეაქციის ყველაზე მძვინვარე რაზმს.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფაშისტურმა გერმანიამ 190 რჩეული დივიზია გამოიყვანა. ჩვენს მიწა-წყალზე სიკვდილი და ნგრევა მოჰქონდა 50 ათასზე მეტ ქვეშეხსა და ნაღმსატყორცნს, 3 ათასამდე ტანკს, 5 ათას თვითმფრინავს. ბრძოლები გაიშალა 3 ათასი კილომეტრი სიგრძის ფრონტზე — ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე.

ომის დასაწყისში ფრონტზე ჩვენთვის წარუმატებელი ვითარება შეიქმნა.

რატომ მოხდა ასე? ახლა ბევრს წერენ იმაზე, თუ რა იყო მიზეზები ჩვენი წარუმატებლობისა ომის დაწყებითს პერიოდში. ამასთან ხშირად როგორც ძირითად მიზეზზე მიუთითებენ სახელმწიფო-პოლიტიკური ვითარების შეფასებაში ი. ბ. სტალინის მიერ დაშვებულ შეცდომებზე. არსებული მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ჩვენმა ხელმძღვანელობამ იცოდა ჰიტლერის ვერაგული ზრახვები და ენერგიულ ღონისძიებებს ახორციელებდა სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად. საბჭოთა ხალხი უდიდეს თავდადებას იჩენდა, უაღრესად საჭირო რამეებს აკეთებდა თავის თავს იმისათვის, რომ ჰყოლოდა თანამედროვე შეიარაღებული ძალები, ჰქონოდა მძლავრი თავდაცვა. სამწუხაროდ, ისტორიამ ძალიან მცირე ვადა გვარგუნა, რაც საკმარისი არ იყო მომავალი ომისათვის ყოველმხრივ მოსამზადებლად. ჩვენი პარტია და მთავრობა ცდილობდნენ გადაეწყვიტა სამხედრო კონფლიქტის დაწყების ვადა და მოეგოთ დრო.

ფაშისტურმა გერმანიამ კი თავისი აგრესიის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გადაიყვანა ეკონომიკა სამხედრო რელსებზე. მის განკარგულებაში აღმოჩნდა ხელში ჩაგდებული ქვეყნების საწარმოო რესურსები და სამხედროიზაციო მარაგი. ევროპაში მოპოვებულმა გამარჯვებებმა უზზრუნველყო მისთვის ხელსაყრელი სტრატეგიული მდგომარეობა. სსრ კავშირის წინააღმდეგ მრავალმილიონიანი არმიის გამოყენების და ძირითად მიმართულებებზე ძალებისა და საშუალებების მხრივ მნიშვნელოვანი უპირატესობის მიღწევა. ამასთანავე გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა მოასწრეს შეეძინათ საკმაოდ დიდი საბრძოლო გამოცდილება. ჰიტლერული არმია 1941 წელს ყველაზე მოიერი არმია იყო კაპიტალისტურ სამყაროში.

ვერცერთი საზელმწიფო ვერ გაუძლებდა ასეთ უეცარ და ძლიერ დარტყმას. მაგრამ საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო. ომის პირველი პერიოდის მძიმე განცდა ბევრმა ადამიანმა მშვიდობიანად იღვწოდნენ მათთვის მინდობილ უბნებზე. ასე იყო გიორგი დარაშვილიც, რომელიც პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა.

1941 წლის იანვარში იგი გაიგზავნა მოსკოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლასთან არსებულ რაიკომის მდივნების ორწლიან კურსებზე. თავის მეუღლეს მაროს დაუბარა, ბავშვებს მიხედე, საზაფხულო არდადეგებზე ჩემს ჩამოსვლამდე არაფერი მოაკლო, მერე მე ვიცი, და გამომშვიდობა.

მაგ. შემდეგ მაროს აღარ უნახავს თავისი მეუღლე, პატარა ცირას და მერის კი — მამა. ომი დაიწყო და კომუნისტი გიორგი დარაშვილი სხვებთან ერთად სოციალისტური სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მალე ოჯახისათვის ცნობილი ხდება, რომ გიორგი იბრძვის ოდესის დამცველთა რიგებში. დარაშვილი სამხედრო წოდებით ბატალიონის კომისარი იყო და № 316 საველე ჰოსპიტლის სამხედრო კომისრის თანამდებობა ეკავა.

საქვეყნოდ ცნობილია ოდესის დამცველთა ლეგენდარული გმირობა. ათეულობასობით ჰიტლერელმა და მათმა დამკვიშმა რუმინელმა ჰპოვა სიკვდილი გმირი ქალაქის კედლებთან. კომისარი გიორგი დარაშვილი კვირეების განმავლობაში თეორად აცოცხლებდა ღამეებს და თავს დასტრიალებდა დაჭრილებს, აწყობდა მძიმედ დაჭრილთა გადაყვანას ქვეყნის ღრმა ზურგში. ხოლო ადგილზე დატოვებულთა დროულ განკურნებას და ავლაგ მწყობრში ჩაყენებას. მხოლოდ ხანმოკლე ხანში ეს მთავარსარდლის ბრძანებით წითელმა არმიამ დატოვა ოდესა, სხვებთან ერთად დარაშვილიც გაიგზავნა ქალაქ სევასტოპოლის დამცველთა დასახმარებლად. აქ იგი სხვა ჰოსპიტლის კომისრად დაინიშნა.

ცოლისათვის სევასტოპოლიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1942 წლის 5 ივნისით არის დათარიღებული, გიორგი წერს: ხმელეთის მხრიდან მტრის ალყაში ვართ, ფაშისტები ცდილობენ დაიკავონ ქალაქი, მაგრამ ამაოდ. ჩვენები გმირულად იგერიებენ მტრის იერიშებს, ჩვენი ჰოსპიტალი ადრევე გადავიტანეთ ქალაქგარეთ და ცოტად თუ ბევრად უშიშარ ადგილას მოვაწყეთ. ქალაქის დაცვა ძალიან კარგად არის მოწყობილი. ასე რომ, როგორ ზღვაზე ვიბრძვიო, ეს ერთ-ერთ ბრძოლაში ... ეს ... ეს ... ...

გმირები

კავკასიონზე დაღუპულ მეომრებს

დაგტრიალებენ ღრუბლები,
ხართ ცის და მიწის მზვერავნი,
მთანო, ყველაზე მაღალნო,
თქვენთან ვერ მოვა ვერავინ.

მანდ წვანან გულგაყინულნი,
არ ითქმის მათზე გოდება —
მანდ დაეჩოქეს სიკვდილი,
კლდეს მიემატნენ ლოდებად.

გურამ გეგეჭკორი.

ომგადასდილი ქმეგი

ბევრი მღელვარება და მწუხარება გადაიტანეს დიდი სამამულო ომის დროს ოსებმა. ექვსი შვილი, ექვსი ვაჟკაცი გაისტუმრეს ომში. შინ მარტო მოხუცი ცოლ-ქმარი დარჩა. ხან ერთი შვილის წერილი იგვიანებდა, ხან მეორისა. ბიჭებზე დარდი და ფიქრი არ ასვენებდა მშობლებს.

ძმებიდან ომის ქარ-ცეცხლში პირველი პავლე ჩიტაია ჩაება. მას ომმა არმიის რიგებში მოუსწრო. ეს იყო ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე პერიოდი. საბჭოთა არმია უკან იხევდა და ზედიზედ ტოვებდა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს. პავლე ჩიტაიამაც უკანდახევით ვოლგამდე მიაღწია.

მაგრამ აი წინსვლის დროც დადგა, და პავლეც ჩვენს ძლევამოსილ არმიასთან ერთად დაიძრა წინ. საბჭოთა ნაწილმა ბერლინამდე მისდია მტერს. მამაცურად -იბრძოდა კურსკთან, ბელორუსიაში, ბრძოლით გაიარა მთელი გერმანია და გამარჯვება ბერლინში იხეიმა.

ინჟინერ-გეოლოგი ბორის ჩიტაია მადახს ეძებდა მესტიის მთებში, ომის ხანძარი რომ გაჩაღდა. მან მაშინვე ფრონტს მიაშურა. პირველად იგი მტერს ქალაქ როსტოვთან შეება. პირველ ხანებში ბედი სწყალობდა ბორისს, მან ცხარე ბრძოლებით ისე გაიარა ქალაქები: როსტოვი, მარიუპოლი, ოდესა, კიევი, კიშინიოვი, რომ, მხოლოდ რამდენიმე მსუბუქი გაჯაჭვრა მიიღო, მაგრამ ქ. კიტომირის იერიშში კი მძიმედ დაჭრეს და მას შემდეგ ფრონტს ვეღარ დაუბრუნდა.

ამირან ჩიტაიამ თავისი წმიდა ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე შავი ზღვის სანაპიროზე მოიხადა. შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო სოჭისა და ტუაფსეს რაიონებში ძლიერ გამაგრებული ჰქონდათ გერმანელებს. ჩვენი ჯარის ნაწილებმა, რომელთა შორისაც მამაცურად იბრძოდა ამირან ჩიტაია, ზედიზედ -გაათავისუფლეს ქალაქები და სოფლები სოჭიდან ნოვოროსიისკამდე.

განთავისუფლებულ ნოვოროსიისკში დარჩა ამირანი ომის დამთავრებამდე. იქ თავისი წვლილი შეჰქონდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაცვაში მტრის დესანტის გადმოსხმისაგან.

პაატა ჩიტაიას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შერხზე მოუსწრო დიდმა სამამულო ომმა. სამშობლოს ოფიცერთა კადრები სჭირდებოდა და იგი ერთ-ერთ საოფიცრო სასწავლებელში გაგზავნეს. მუყაითად სწავლობდა პაატა სამხედრო საქმეს. მოუთმენლად მოელოდა სასწავლებლის დამთავრებას, ფრონტისკენ მიუწევდა გული. მაგრამ პაატა ფრონტზე არ მოხვდა. ის სასწავლებელშივე დატოვეს ოფიცერთა კადრების მასწავლებლად და აქვე დარჩა ომის დამთავრებამდე.

ალექსანდრე და იროდიონ ჩიტაიები ტყუპები იყვნენ, ერთად დამთავრეს საშუალო სკოლა და 1942 წლის 17 მარტს საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგნენ.

თავდაპირველად ისინი საოფიცრო სასწავლებელში გაგზავნეს. ის ის იყო დასრულეს კურსი, რომ სასწავლებლის სხვა კურსდამთავრებულებთან ერთად კავკასიის უღელტეხილის დაცვად გაგზავნეს აფხაზეთში, სოფელ ფსხუს რაიონში.

ერთ-ერთი ოპერაციის დროს მთებში დაზვერვაზე გაგზავნილი სამი მზვერავიდან ცოცხალი არც ერთი არ დაბრუნებულა. მათ შორის იყო ალექსანდრე ჩიტაია.

სასტიკ ბრძოლებში მოხვდა ამ დროს იროდიონ ჩიტაიაც. მტრის ავიაციამ დაბომბა ჩვენების საბრძოლო განლაგება. ამ დროს იროდიონმა მძიმე კონტუზია მიიღო და ბრძოლიდან გამოითიშა.

დამთავრდა დიდი სამამულო ომი. დადგა ჟამი, რომელსაც მღელვარებით ელოდა მილიონობით ადამიანი, ერთმეორის მიყოლებით უბრუნდებოდნენ მშობლიურ კერას და მონატრულ დედ-მამას ძმები ჩიტაიები. 1946 წელს თბილისში დაბრუნდნენ ამირანი და პაატა. 1948 წელს პავლე, ხოლო 1949 წელს ბორისი. ომგადახდილებს მკერდს უმშვენებდათ საბრძოლო ორდენები და მედლები. ხარობდა დედის გული, ამაყობდა მამა, მაგრამ ამ საერთო სიხარულს აკლდა ალექსანდრე, რომელიც სამუდამოდ დარჩა კავკასიონის მიუვალ მთებში.

დღეს ომგადახდილი ძმები მშვიდობიანი შრომის ფერხულში არიან ჩაბმული. ამირანი ქ. თბილისში ერთ-ერთი სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელია. კოლექტივი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, კომუნისტური შრომის საწარმოს წოდებასათვის იბრძვის. ამირანი საზოგადოებრივ და სპორტულ მუშაობასაც არ ივიწყებს. იგი ფეხბურთში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია.

ბორისმა ვერ მიატოვა თავისი საყვარელი საქმე — ფეხბურთი. კიევის, მინსკის და თბილისის „დინამოს“ გუნდების ყოფილი „ბომბარდირი“ ამჟამად წართნის საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ფეხბურთელთა გუნდს, რომელიც საქართველოს პირველობის გათამაშებაში მონაწილეობს.

პავლე ჩიტაიაც თავის ძველ პროფესიას ემსახურება. თბილისის პირველი ტაქსომოტორის კანტორის მოწინავე მძღოლს უკვირიო მუშაობისა და გეგმის სისტემატურად შესრულებისათვის მიღებული აქვს „წარჩინებული მძღოლის“ ნიშანი, საავტომობილო სამინისტროს საპატიო სიგელი და მრავალი მადლობა.

ომის დამთავრების შემდეგ სტუდენტის მერხს დუბრუნდა პაატა ჩიტაია. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი ასპირანტურაში შევიდა. ამჟამად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატია და ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა.

ფრონტზე მიღებული კონტუზიის გამო ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის მიუხედავად ნაყოფიერ შრომითს საქმიანობას ეწევა იროდიონ ჩიტაიაც. თბილისის ვაჭრობის სისტემაში იგი ერთ-ერთ მოწინავე მუშაკად ითვლება.

ამრიგად ყველა ძმა ბედნიერი ოჯახის მამაა, და მათი უპირველესი ნატვრა და სურვილია — ნურასდროს ნუ მოსწრებოდეთ მათს შვილებს ომი.

მაიორი გ. ავალიანი.

სურათზე: ოლია და ალექსანდრე ჩიტაიები თავის ექვს ვაჟიშვილთან.

□ **დუშეთი.** („კომუნისტის“ კორ.). ბაზალეთის ტბის სამხრეთით მთეს შორის ხეობაშია გაშენებული დუშეთის რაიონის სოფელი საკრამულო. ამ პატარა სოფლიდან დიდ სამამულო ომში სამშობლოს დასაცავად ასზე მეტი ვაჟკაცი წავიდა, შინ ნახევარზე მეტი არ დაბრუნებულა.

სოფლის ახალგაზრდობამ კოლმეურნეების შ. ბეჟანიშვილის და გ. ჩხუტიაშვილის თაოსნობით ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად გადაწყვიტა მოაწყოს შინმოუსვლელთა პარკი. დუშეთის საკაფო მეურნეობამ ამ საქმისათვის 300-ზე მეტი წიფვიანი და ფოთლოვანი ჯიშის ხის ნერგი გადასცა საკრამულოს მოსახლეობას.

სოფლის ცენტრში 1.500 კვადრატულ მეტრ ფართობზე ახალგაზრდობამ გააშენა მშვენიერი პარკი.

განზრახულია პარკის ცენტრში დაიდგას ობელისკი და გაკეთდეს ომში დაღუპულთა ფოტოსტენდი.

□ **ონი** (საკ. კორ.). ხალხი გულში ინახავს სამამულო ომში დაღუპულ თანამემამულეთა ხსოვნას. კარგი ინიციატივა გამოიჩინა სოფელ მაყიეთის ინტელიგენციამ. შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად სოფლის ცენტრში გააშენეს ტყე-პარკი. სოფლის მასწავლებლებმა აქ 200 ძირი მარადმწვანე მცენარე და ხეხილი დარგეს.

თვითეულ ხეს შინმოუსვლელთა სახელი აქვს მიკუთვნებული.

□ **მაიაკოვსკი.** (საკ. კორ.). სოფელ ფერსათიდან 458 ვაჟკაცი წავიდა დიდ სამამულო ომში. მათგან 288 აღარ დაბრუნებულა. შინმოუსვლელთა შორის არის ვვარდიის ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი **ვლადიმერ გუბელაძე.**

გმირის ხსოვნის უკვდავსაყოფად სოფელ ფერსათის საშუალო სკოლას ვლადიმერ გუბელაძის სახელი მიეკუთვნა.

□ **წყალტუბო.** (საკ. კორ.). მაღალმთიან სოფელ დღნორისდან 200 ვაჟკაცი წავიდა ფრონტზე. მათგან 111 გმირულად დაეცა. თანამოფლელები პატივს სცემენ შინმოუსვლელთა ხსოვნას. სოფელში გაიხსნა შინმოუსვლელთა სტენდი.

წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთის საშუალო სკოლას მიეკუთვნა სამამულო ომში დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირის **ლავრენტი ავალიანის** სახელი. გმირის სახელი მიეკუთვნა აგრეთვე საშუალო სკოლას უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ ნოვოლიუბომოვკაში, სადაც დასაფლავებულია ქართველი გმირი.

ტყე-პარკები, ობელისკები

შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად

თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადება

სტამბოლი, 8 მაისი. (საკდესი). „თურქეთი ესწრაფვის კარგი ურთიერთობა დამყაროს საბჭოთა კავშირთან. კარგი ურთიერთობის დამყარება შეეხებამება როგორც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, ისე მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს“, — განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა დასავლეთ გერმანიის რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლისადმი მიცემულ ინტერვიუში, რომელიც დღეს თურქეთის პრესაში გამოქვეყნდა.

დემირელი შეეხო თურქეთის საგარეო პოლიტიკას და თქვა, თურქეთი მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრეა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ საერთაშორისო მშვიდობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნებას მსოფლიოს ცალკეულ რაიონებში.

ჰანოის დაჯილდოება

ჰანოი, 8 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის ბრძანებულებით ჰანოი დაჯილდოებულია პირველი ხარისხის „დამოუკიდებლობის“ ორდენით ამერიკის ავიაციის საჰაერო თავდასხმების მოგერიებაში გმირობისა და სბრძოლო ოსტატობისათვის.

ოსეთ-ალანეთის ბიბლიოთეკა

ROზა ლუქსემბურგის მკვლელი დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს

ბონი, 8 მაისი. (საკდესი). როგორც დღეს გაზეთი „ნოიე რაინ-ციაიტუნგი“ იუწყება, ტელევიზიის რადიტრომა დიტერ ერტელმა ინთერვიუ ROზა ლუქსემბურგის მკვლელი. გაზეთი არ ასახელებს მკვლელს, მაგრამ აღნიშნავს, რომ, ერტელის მონაცემებით, იგი 72 წლისაა და ცხოვრობს დასავლეთ გერმანიაში.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ერტელმა მკვლელი აღმოაჩინა კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის შესახებ დოკუმენტური ფილმის მომზადების პროცესში, როცა შეხვდა 1918-1919 წლების რევოლუციური ამბების ბევრ მოწმეს, მათ შორის როზა ლუქსემბურგის მკვლელსაც.

ერტელი წერს, რომ 1919 წლის იანვარში, როცა დაპატიმრებული კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი მოამბეს საყორბოლეში გადაჰყავდათ, მკვლელი შეხტა ავტომანქანის საფეხურზე და ტყვია დაახალა როზა ლუქსემბურგს. მკვლელი რაიხსვერის ოფიცრის კაპიტან პაბსტის სალიუმლო ბრძანებით მოქმედდა.

როგორც „ნოიე რაინ-ციაიტუნგი“ წერს, 1962 წელს პაბსტმა აღიარა, რომ მან გასცა როზა ლუქსემბურგისა და კ. ლიბკნეხტის მოკვლის საიდუმლო ბრძანება.

გაზეთი „რაინიშე პოსტი“ მკვლელად ასახელებს გერმან ზოუხონს.

ლენინგრადისთა პრესტიჟი ეცემა

ლონდონი, 8 მაისი. (საკდესი). მიმდინარე მუნიციპალური არჩევნები (პროვინციული ქალაქების საბჭოებისა) ხასიათდება იმით, რომ კვლავ ეცემა მმართველი პარტიის — პრესტიჟი. ლეიბორისტებმა დიდი მარცხი განიცადეს, დაკარგეს 179 ადგილი.

წინასწარი მონაცემებით კონსერვატორებმა მოიპოვეს 617 ადგილი (აქედან 186 ახალი), დამოუკიდებლებმა — 520 ადგილი. ლეიბორისტებმა — 367 და ლიბერალებმა — 76.

გადადგა ერაყის მთავრობა

ლონდონი, 7 მაისი. (საკდესი). რეიტერის საგენტო, რომელიც იმოწმებს ერაყის პრესის ცნობებს, ბაღდადიდან იუწყება: ერაყის პრემიერ-მინისტრმა ნაჯი თალებმა ერაყის პრეზიდენტს ამდელ რაჰმან არეფს წარუდგინა განცხადება თავისი მთავრობის გადადგომის შესახებ.

გაზეთი „ალ-ტაჯი“ იუწყება, რომ ახალი კაბინეტის შექმნა დაევალა ყოფილ ბრიგადის გენერალს ამდელ განი არ-რაფის.

საქართველოს სსრ ხალხთა ხელოვნება

• ანდრია გალანჩივაძის დაბადების 60 წლისთავი •

მუსიკით ცხოვრების მხარდამჭერი

სახელოვანი მემკვიდრე

ანდრია გალანჩივაძე

დალოცვილი ოჯახიაო, ეს თამამად შეიძლება ითქვას ბალანჩივაძის ოჯახზე, მის წინაპრებსა და მოდგმაზე.

ანდროს მამა მელტონი შესანიშნავი ადამიანი, საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქუთაისში მუსიკალური სასწავლებლის დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი იყო. დღეს ანდრია ბალანჩივაძე თვითონ სახელმოხვეჭილი კომპოზიტორია, რომელთანაც დაკავშირებულია ახალი ქართული მუსიკის აღორძინების დასაწყისი და მისი განვითარება, როგორც სიმფონიური, ისე კამერული მუსიკის ჟანრებში, გამოჩენილი პედაგოგია, რომელმაც აღზარდა მთელი თაობები ქართველი კომპოზიტორებისა, საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი მოკალაქე, პირნათელი, პრინციპული, თავმდაბალი ადამიანია.

დღეს ანდრიას 60 წელი შეუსრულდა. 60 წელი უანგარო შემოქმედებითი მუშაობისა და საზოგადო მოღვაწეობისა. მისთვის, როგორც ხელოვანისათვის დამახასიათებელია თანამედროვეობის მკვეთრი შეგრძნება, მისი შემოქმედებითი სტილი გამოირჩევა მთლიანობითა და სიწმინდით, ეროვნულობითა და თვითმყოფობით, გამომსახველობის ბალანჩივაძისებური თვისებებით, შენერით, სტილით. მასში თავისებურ გადაწყვეტას იღებს ხალხური მუსიკალური აზროვნების თავისებურებანი, თვისებები, და გარდაქმნება მისთვის დამახასიათებელ მეტყველებაში. ამიტომ არის, რომ ქართველი მუსიკალური საზოგადოებრიობა ამ თარიღს აღნიშნავს ღირსეული პატივისცემით.

რა შეიძლება ვუსურვოთ მას 60 წლისთავზე, როგორც მეგობარს, მოკალაქეს, შესანიშნავ მხატვარს? ჯანმრთელობა, კიდევ მრავალი შემოქმედებითი გამარჯვება, სიხარული.

ალექსი მაჭავარიანი,
სსრკ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი.

ექვდილ ჭაბუკურად

ანდრია გალანჩივაძე ქართული მუსიკალური კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ახალი მუსიკალური სახეების ძერწვის დიდი ოსტატია. მისი მუსიკალური სახეები ღრმად ეროვნულია და განსაკუთრებული პლასტიკურობით გამოირჩევა.

აზრის სიახლე და სინატიფე, ემოციურობა, მუსიკალური ენის გამომსახველი ხერხების მრავალფეროვნება ა. ბალანჩივაძის ნაწარმოებებს დიდი ნოვატორული ღირსებებით ამკობს.

მის მუსიკალურ შედევრებს (პირველი სიმფონია, ბალეტი „მთების გული“, მესამე საფორტეპიანო კონცერტი და სხვ.) რომ ისმენ, გჯერა კომპოზიტორის გულწრფელი მუსიკისა, გხიბლავს მისი ეროვნულობა.

ბალანჩივაძის მთელი შემოქმედება უაღრესად თანამედროვეა და ამავე დროს შთაგონებულია ხალხური სიბრძნით. იგი ახალი ქართული მუსიკალური კულტურის საუნესთან დგას და მგზნებარებით იცავს მის მდიდარ ტრადიციებს.

ნამდვილი ხელოვნება არასოდეს არ ბერდება.

რაც უფრო მაღალპოეტური და წარმტაცია კომპოზიტორის ბუნება, მით უფრო ახალგაზრდაა მისი მუსიკა, მისი შემოქმედება. ანდრია ბალანჩივაძის წარმტაცი მუსიკა მარად ახალგაზრდაა, მარად ჭაბუკია.

დავით თორაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

• ხვალ ოპერის თეატრში •

ხვალ, 10 მაისს, საღამოს 8 საათზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართება გამორჩენილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის **ანდრია ბალანჩივაძის** დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ალ. მაჭავარიანი. ანდრია ბალანჩივაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებას წაიკითხავს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვ. დონაძე.

თაოსანთა ბიბლიოთეკა აღმფრდელი

ანდრია გალანჩივაძე

არის არა მარტო მაღალავტორიტეტული მუსიკოსი, გამოჩენილი კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი, არამედ შესანიშნავი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება, ისეთივე ღაღი, უშუალო, როგორიც მისი მუსიკაა.

ძნელია სრულყოფილად შეფასდეს ანდრია ბალანჩივაძის თითქმის 40 წლის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობა. იგი არის საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი აქტიური მშენებელი, ისეთი ფუძემდებელი ნაწარმოებების შემქმნელი, როგორიც არის ბალეტი „მთების გული“, რომელმაც წარმატებით გაიხმიანა ფართო საკავშირო სარბიელზე, 1944 წელს შექმნილი შესანიშნავი პირველი სიმფონია, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, დღემდე საუკეთესო ქართული სიმფონიაა და რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ამ ჟანრში მომუშავე ქართველ კომპოზიტორთა მომდევნო თაობის შემოქმედებითი ჩამოყალიბებაზე. ნამდვილად კლასიკურად შეიძლება ჩითვალოს თარ. ლაღიძე, ა. შავერზაშვილი, ა. ჩიმაკაძე, ბ. კვირნაძე, შ. მიღორავა, მ. დავითაშვილი, ნ. ვაშაძე, კიდევ ბევრი სხვა.

დღეს ა. ბალანჩივაძე ჩვენი კონსერვატორიის ერთ-ერთი წამყვანი პროფესორი, კომპოზიციის კათედრის გამგე და საშხატვრო საბჭოს წევრია. მის კლასში არაერთი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა სწავლობს.

60 წლის „მიუხედავად ა. ბალანჩივაძე დღესაც აღსავსეა შემოქმედებითი ენერგიით, სიბალისით, ენთუზიაზმით. მის „შემოქმედებითს პორტფელში“ რამდენიმე ფრიად საინტერესო ნაწარმოებია, რომლებსაც მოუთმენლად ველით ყველანი.

სულხან ცინცაძე,
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

ანდრია ბალანჩივაძე. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გზა მუსიკოსისა

ქართული მუსიკალური საზოგადოებრიობა სიყვარულით აღნიშნავს ამაგდარი მოღვაწის, გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის დაბადების 60 წლისთავს. ამ თარიღს ჩვენი ხელოვნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ანდრია ბალანჩივაძეს წილად ხვდა ქართული საბჭოთა მუსიკის სათავეებთან მდგარიყო და გამოეკვლო დიდი და საინტერესო გზა. მის შემოქმედებაში ჩასახა ან და თავის სრულყოფას მიაღწია ქართული მუსიკის ისეთმა დიდმნიშვნელოვანმა ჟანრებმა, როგორიც არის საბალეტო, საკონცერტო-საფორტეპიანო, სიმფონია.

ბალანჩივაძის ნაწარმოებთა მრავალი ჩამოთვლაც კი ნათელსა ქმნის მისი მხატვრული ინტერესების მრავალფეროვნებას და მოღვაწეობის ნაყოფიერებას. იგი 2 სიმფონიის, 4 საფორტეპიანო კონცერტის, სამი ბალეტის („მთების გული“, „ცხოვრების ფურცლები“ და „მწირი“) ავტორია. მის კალამს ეკუთვნის კომიკური ოპერა „მზია“, სიმფონიური სურათები „დღეებზე“, „რიწის ტბა“, „ზღვა“, „თბილისის ზღვაზე“, მთელი რიგი საკონცერტო და ვოკალური მინიატიურები, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისათვის. ბალანჩივაძის სახელთან დაკავშირებულია ქართული კინომუსიკის პირველი წარმატებებიც („დაკარგული სამოთხე“, „არშეული“, „ეიორგი საკაძე“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „მამელუკი“).

არსებითი, რაც ბალანჩივაძის ხელოვნებას განუმორებელ სილამაზეს და თვითმყოფად სასიათს ანიჭებს, ეს არის ცხოვრების ძალიან თავისებური ხედვა, სულიერი სიფაქიზისა და ვაჟკაცური წინსწრაფვის შეზავება, ლირიკულ განწყობილებათა მრავალფეროვნების გადმოცემა ეროვნული მუსიკის ჟანრების მეშვეობით. ბალანჩივაძის მუსიკა — ეს თვით ჩვენი, ქართული სინამდვილე, პოეტურად აღქმული და დანახული, ნაგრნობი და ჰანგად ქცეული.

ბალანჩივაძის სტილი გამოირჩევა მთლიანობით, მასში ორგანულად არის შერწყმული ეროვნული მუსიკის თავისებურებანი ზოგადკაცობრიულთან, კლასიკურ და რომანტიკული მუსიკიდან მომდინარე თავისებურებებთან. ბალანჩივაძის სტილი თანამედროვეა ამ სიტყვის მაღალი გაგებით და ამ თვისებას იგი უნდა უმადლოდეს არა რაიმე განსაკუთრებულსა და გაუგონარი ხერხების გამოყენებას, არამედ ემოციურ სიმძაფრეს, მუსიკალური სახეების სიახლეს და, რაც მთავარია, სინამდვილის შთაგონებულ ასახვას.

არსებითად ინსტრუმენტულად მოაზროვნე კომპოზიტორი განსაკუთრებით თავისუფლად გრძნობს თავს ე. წ. წმინდა სიმფონიურ მუსიკაში. ფორმის დახვეწილობა, კომპოზიციური სიმწყობრე, თემატური მასალის ბუნებრივობა და სახეების ლოგიკური განვითარება ბალანჩივაძის სტილის ძლიერი მხარეებია.

ბალანჩივაძის მუსიკისათვის მძლავრი ემოციური აფეთქებები არ არის უცხო, მაგრამ მისი შემოქმედების დრამატული ფურცლებიც არ კარგავენ საოცარ პლასტიკურობას, მათში განცდის უშუალობა და სიძლიერე ოდნავაც არ აბუნდოვანებს ფორმის მკაფიობას.

ცხადია, ბალანჩივაძის სტილისათვის დამახასიათებელია თავისებური მეოდიური ენა და გამომსახველი ხერხები. კომპოზიტორის შემოქმედებითი გზა საგსებ ბევრი საინტერესო მიგნებით, რომელთა გამოყენების არეც არ შემოიფარგლა მარტო ამ ხელოვანის ქმნილებებით სწორედ ამაში ვლინდება მისი ძიებების ნაყოფიერება, რადგანაც ჭეშმარიტად ეროვნული დღეს წარმოუდგენელია იმ წვლილის გაუთვალისწინებლად, რომელიც ჩვენს კულტურაში თანამედროვე მხატვრის ინდივიდუალობას შემოაქვს, და ბალანჩივაძე სწორედ ასეთ ხელოვანთა რიგს ეკუთვნის.

ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ ვითარდება ის ტრადიციები, რომლებიც სათავეს ბალანჩივაძის ამა თუ იმ ქმნილებებში იღებენ. ქართული ხალხური მუსიკის თვითმყოფად ჟანრებში კომპოზიტორმა შეიგრძნო დიდი განმსზოგადებელი ძალა. „ნორუმი“ თუ „საიერიშო“, „მუმლი მუხასა“ თუ „ბუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ზარი“ თუ საფერხულოები, ლაშქრული მისთვის, მაგალითად, გმირული საწყისის გამოსახვისათვის მიწოდებული „მზამზარეული ფორმებია“, შემუშავებული ხალხური აზროვნების მიერ. ამ ჟანრების თავისთავად გამომსახველობაზეა დაფუძნებული ბალანჩივაძის სიმფონიური აზროვნება. კომპოზიტორი თავისთვის იტოვებს მათი მხატვრული გარდასახვის და დინამიური განვითარების, ახალი ინტონაციური და ფსიქოლოგიური შინაარსით დატვირთვის უფლებას.

ბალანჩივაძისეული ლირიკის ტონუსი და ინტონაციური იმპულსი ქართველ კომპოზიტორთა მრავალ პოეტურ მუსიკალურ სახეში შეიგრძნობა.

ცხადია, შემოქმედების თითქმის 4 ათწლეულის მანძილზე ბალანჩივაძის სტილმა გარკვეული განვითარება განიცადა: იგი დაიხვეწა და გადიდდა, ოსტატობა ინტონაციურ-ინტონაციურ ფენებში

თბილისს ესტუმრნენ რუსთაველები

ბუშინ ტურისტულ-თვალსაჩინოებათა მატარებელმა „შინა რუსთაველმა“ საქართველოს დედაქალაქში ქალაქ რუსთავის მშრომელთა ექვსასი წარმომადგენელი ჩამოიყვანა. რესპუბლიკის ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქიდან თბილისს ესტუმრნენ მეტალურგები და ქიმიკოსები, მშენებლები... ვაგზლის პერონზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. გულთბილი იყო სტუმარ-მასპინძლების შეხვედრა. ნორჩმა პიონერებმა ცოცხალი ყვავილები მიართვეს შრომაში გამბორმეფდილ რუსთაველებს.

რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლები ავტობუსებში სხდებიან, იწყება ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. მრავალ რუსთაველს გავესაუბრეთ ამ დღეს, ბევრიც ნაცნობი აღმოჩნდა.

საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი უშვენებს მკერდს „ქიმმრეწვმშენის“ სამმართველოს უფროსს ბ. უკლებას. მდინარე ოდერის გადალახვაში მონაწილეობდა და იქ ისახელა თავი, ბერლინამდე მივიდა თადარიგის მაიორი, შემდეგ კვლავ მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა. სამმართველომ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, აზოტოვანი სასუქებისა და კაპროლაქტამის ქარხნები ააგო. საბჭოთა კავშირის გმირია ბ. ბუაჩიძეც, — აზოტოვანი სასუქების ქარხნის № 3 საამქროს ოსტატი. იგი არტილერისტი იყო და სტალინგრადში იბრძოდა, პაულიუსის არმიის განადგურებაში მონაწილეობდა უშუალოდ.

ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. შათირიშვილი სამამულო ომის მონაწილეა. ომის ვეტერანს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქიმიური სასუქების, კაპროლაქტამისა და ქიმიური ბოჭკოს ძაფის ათვისებაში, კოლეგებთან ერთად მუშაობს და წყვეტს ქიმიის ტექნოლოგიის რთულ პრობლემებს.

ბევრ რუსთაველს ვესაუბრეთ, უმეტესად სამამულო ომის ვეტერანებს, რადგან მაისია და დღეს მათი გამარჯვების დღე არის, თანაც რუსთავში მშენებლები ჯერ კიდევ მაშინ მოვიდნენ, როცა საბჭოთა არმია მტერს ანადგურებდა, ბევრს ფარაჯის გასდა ვერც მოესწრო და უკვე მომავალზე ფიქრობდა და აშენებდა.

გაზეთ „კომშინსტის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კა რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ხარგელიამ თქვა:

— ჩვენი ქალაქის მშრომელთა სახელით მოგესალმებით და დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამთ დედაქალაქში დღევანდელი ჩვენი სტუმრობით. მადლობა გულთბილი და შესანიშნავი მასპინძლობისათვის. რუსთაველები თბილისის ზშირი სტუმრები არიან, მაგრამ ამჯერად ყველაფერს თავისებური სილამაზე, ლაზათი აქვს.

რუსთავი თავისი მრავალეროვანი, მრავალათასიანი მოსახლეობით რესპუბლიკის ერთ-ერთი სამრეწველო და კულტურული ცენტრია. რუსთავის მშრომელები კანონიერად ამაყობენ მოპოვებული წარმატებებით. ქალაქი ჩვენს თვალწინ დაიბადა, დავაკაცდა და, შეიძლება ითქვას, ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომით შექმნილი ღამაზი საჩუქარია დიდი ოქტომბრის იუბილესათვის.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანა მძიმე მრეწველობის გიგანტია, პირველი ქართული ფოლადი 1950 წლის 27 აპრილს იქნა გამოდნობილი. რუსთავის მარკით გამოშვებული პროდუქცია იგზავნება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ქართველ მეტალურგთა შემოქმედებითს საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს მილსაგლინავ დგან „400“-ის სრულ ავტომატიზაციას. მეორე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარ-მოწყობილობათა ათვისება, რაც რუსთაველმა მეტალურგებმა ბრწყინვალედ განახორციელეს. მეტალურგებს მხარში ამოუდგა დიდი ქიმია. აზოტოვანი სასუქების, კაპროლაქტამისა და ქიმიური ბოჭკოს ქარხნები უდიდესი ქიმიური ობიექტებია. დღეს რუსთავს მეტალურგიის ქალაქთან ერთად ქიმიის ქალაქსაც ეძახიან.

მაგრამ როცა მეტალურგიასა და ქიმიაზე ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ რუსთაველი მშენებლები. სწორედ მათ ააგეს რესპუბლიკის ინდუსტრიული ქალაქის საწარმოები, საცხოვრებელი კვარტალები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

რუსთაველი მრავალი სახელოვანი ადამიანია. თავიანთი შრომით გაითქვეს სახელი სოციალისტური შრომის გმირებმა ვ. კობერიძემ, ა. შანცულაიამ, ა. ძამაშვილმა, ვ. ქაჯაიამ და მრავალმა სხვამ.

უდიდესი ამოცანების წინაშე დგანან ახალ ხუთწლედში რუსთაველი მშრომელები. მათ უნდა აწარმოონ და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს ათასობით ტონა ფოლადი, თუჯი, ნაგლინი, მინერალური სასუქები, კაპროლაქტამი, ხელოვნური აბრეშუმის ძაფი და მრავალი სხვა პროდუქცია. რუსთავის მშრომელები ყოველთვის მოწინავენი იყვნენ, და უკვე მოპოვებული წარმატებები ნათლად მეტყველებენ, რომ რუსთავი ღირსეულად შეხვდება საბჭოთა სახელმწიფოს 50-ე წლისთავს.

საღამოს რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლების ერთი ჯგუფი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში უსმენდა ოპერა „აიდას“, მეორე ჯგუფმა კი რუსთაველის სახელობის თეატრში ნახა სპექტაკლი „მეტეხის ჩრდილში“.

• • •

სურათებზე: ზემოთ — რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლები თბილისს ვაგზალში; ქვემოთ — რუსთაველი სტუმრები მეტეხის პლატოზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გამოცდები სკოლებში

ᲩᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲘᲪ, და დამთავრდება მიმდინარე სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედი. დაიწყება მასწავლებელთა და მოსწავლეთა ცხოვრებაში ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — კლასიდან კლასში გადასაყვანი და დამამთავრებელი და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი Ე. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ ეწვია საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს ამხ. **ᲨᲣᲐᲜᲐ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔს** და სთხოვა მკითხველებისათვის მოეთხრო — არის თუ არა გათვალისწინებული რაიმე ცვლილებანი კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ორგანიზაციაში.

— როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის ყველა სკოლაში კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები ტრადიციულად ტარდებოდა, — გვეუბნება უ. ოგოლაძე, — მაგრამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს გამოცდები გაუქმებულ იქნა. იმ მიზნით, რომ უფრო გაზრდილიყო მასწავლებელთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობა, გამოცდები აღდგენილ იქნა 1962-1963 სასწავლო წლიდან, რამაც ძალიან კარგი შედეგები მოგვცა.

წელსაც, როგორც გასულ წლებში, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები მოეწყობა V-VI-VII კლასებში ორ-ორ საგანში, ხოლო IX კლასში სამ საგანში. მეცხრე კლასს დაემატა გამოცდა რუსულ ენაში.

კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების თავისებურება ის არის, რომ გამოცდები იწარმოებს საგნების მონაცვლეობით. საგამოცდო საგნების შესახებ მითითებანი სკოლებს ეძლევათ სასწავლო წლის ბოლოს. სასწავლო წლის დასაწყისში არ არის ცნობილი, თუ რომელ კლასში რა საგანში იქნება გამოცდები. ასე, მაგალითად თუ წელს VI კლასში ჩაბარდები ტარდება მათემატიკაში — ზეპირი, მომავალ წელს ამ კლასში გამოცდები სხვა საგნებში იქნება გათვალისწინებული. ამიტომ მოსწავლეები ყველა ძირითად საგანში თანაბრად ემზადებიან. ცხადია, ჩვეულებრივ წარმართება გამოცდები დამამთავრებელ კლასებში.

სასწავლო წლის დამთავრებამდე ცოტა დრო დარჩა. საჭიროა სკოლები, პედაგოგები, მოსწავლეები ამთავითვე შეუდგნენ მზადებას გადასაყვანი, დამამთავრებელი და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდებისათვის.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ოქტომბერი და აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა

უკვე მეოთხე დღეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში მიმდინარეობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთის ლიტერატურათმცოდნეების საკოორდინაციო საბჭოს გაერთიანებული სამეცნიერო სესია თემაზე — **„ოქტომბერი და აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა“.** სესია ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ბაქოს, ერევნის, ტაშკენტის, დუშანბისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნეები, აღმოსავლური ლიტერატურის მკვლევარები.

სესია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **გ. წერეთელმა.** შემდეგ საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეურნალ „ახალი ი აფრიკა სეგოდნიას“ რედაქტორი **ი. ბრაგინსკი,** თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ბ. კარიევი,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ე. ჩელიშევი** და სხვ. სულ სესიამ მოისმინა 30-ზე მეტი მოხსენება.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლური ლიტერატურათმცოდნეობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეს პროფ. **ი. ბრაგინსკის** და მიმართა კითხვით:

რა საკითხებს განიხილავს სესია, როგორია ამ სესიის ამოცანები?

— სსრ კავშირის აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურათმცოდნეების საკოორდინაციო საბჭო, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის ცნობილ მკვლევარებს, — აღნიშნა ი. ბრაგინსკიმ, — წელიწადში ერთხელ მართავს გაფართოებულ სხდომებს. ამ სხდომებზე მეცნიერები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მიღწევებს, აცნობენ მუშაობის გეგმებს. საკოორდინაციო საბჭოს დანიშნულებაა არ მოხდეს მეცნიერთა პარალელური მუშაობა ერთსა და იმავე თემებზე და გამოკვლეულ იქნას ის თეორი წერტილები, რომლებიც ჯერ კიდევ ამოუხსნელი რჩება ჩვენი მეცნიერებისათვის.

თავის შესავალ სიტყვაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. წერეთელმა შესანიშნავად განმარტა ჩვენი სესიის დანიშნულება. ამჟამად მსოფლიო იყოფა არა დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებად, აღნიშნა გ. წერეთელმა, არამედ პროგრესულ საზოგადოებად, რომელიც იბრძვის კაცობრიობის მომავლის იდეალებისათვის, და ბნელეთის რეაქციის ძალებად, რომლებსაც სურთ შეაჩერონ კაცობრიობის ბუნებრივი განვითარების ისტორია.

ამ ორი ძალის ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით, თავის ასახვას პოულობს ლიტერატურაში. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ამ ძალების ბრძოლის შედეგები.

სესია განიხილავს სწორედ ამ შედეგებს.

სესიაზე წარმოდგენილი მოხსენებები იყოფა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის ის მოხსენებები, სადაც განხილულია ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა. ამ ჯგუფის მოხსენებებიდან აღსანიშნავია კრიტიკოს ბ. ულენტის, თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ბ. კარიევის, უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკის მ. რასულის და სხვათა მოხსენებები და მეორე ჯგუფის მოხსენებები, სადაც აღნიშნულია, ოქტომბრის რევოლუცია და საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა. ამ მოხსენებებში მკვლევარები ეხებიან იმ საკითხებს, თუ რა როლი შეასრულა ოქტომბრის რევოლუციამ სპარსულ, თურქულ, იაპონურ, ინდურ, ჩინურ, ავღანურ და სხვა ხალხთა ლიტერატურის განვითარებაში. ამ საკითხების ირგვლივ სესიაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. ე. ჩელიშევი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები ტ. კეშულავა, ნ. დვორიანსკი, ვ. სემანოვი, ვ. სოროკინი და სხვ.

10 მაისს სესია მუშაობას ამთავრებს.

Ა. ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲘᲕᲔᲚᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ცნობილი არქიტექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ალექსანდრე სოლომონის-ძე ინწკირველი.

ა. ინწკირველი დაიბადა 1898 წელს სოფელ ნაგომარში, მასწავლებლის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ხონში. 1918 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1929 წელს უმაღლესი სამხატვრო-ტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი ერთხანს მუშაობს მოსკოვში სამრეწველო ობიექტების დაპროექტებაზე. 1930 წელს გადმოდის თბილისში „ზაკგოსპროექტში“ არქიტექტორის თანამდებობაზე. ამავე დროს ლექციებს კითხულობს სამშენებლო ინსტიტუტში.

1934 წელს ა. ინწკირველი საბუშოდ გადადის „საქსახპროექტში“ პროექტის თავავარ ინჟინრად, შემდეგ არქიტექტურული სექტორის უფროსად. 1944 წლიდან დღემდე მუშაობდა რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ობიექტების დაპროექტებაზე „საქმახტპროექტში“, „სოიუზგიპროორგში“ და შემდეგ „საქსახპროექტში“ და „საქქალაქმშენსახპროექტში“ საარქიტექტორო სახელოსნოს ხელმძღვანელად.

ა. ინწკირველის პროექტებით ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ აგებულია მრავალი საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო დანიშნულების შენობა. თითქმის 25 წლის მანძილზე ეწეოდა იგი სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ა. ინწკირველი, არქიტექტორთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი, წლების განმავლობაში იყო მისი თავმჯდომარე, აგრეთვე სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი.

ალექსანდრე ინწკირველი იყო შესანიშნავი ღირსების მქონე ადამიანი, გულისხმიერი მეგობარი. მისი შემოქმედების ნაყოფი დიდხანს იცოცხლებს ქართულ მიწაზე. მის წათელ ხსოვნას დიდხანს შეინახავენ ყველა მისი მახლობლის გული.

საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქქალაქმშენსახპროექტი“.

რადიოს დღის აღსანიშნავად

რადიოს დღის აღსანიშნავად 7 მაისს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა საზეიმო კრება. კრება გახსნა პოპოვის სახელობის რადიოტექნიკისა და ელექტროკავშირგაბმულობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. ინაურმა.

მოხსენება ჩვენს ქვეყანაში რადიოტექნიკისა და რადიოკავშირის შექმნისა და განვითარების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრმა კ. ქავთარაძემ.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს: ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიომოყვარულმა ზ. გამყრელიძემ, რესპუბლიკის უსუცესმა რადისტმა დ. ხმიადაშვილმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

დელეგაცია უცგოროდში

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, უცგოროდში ძმათა სასაფლაოზე განისვენებს სამამულო ომის გმირი ირაკლი დავითის-ძე სინჯარაძე, რომლის საფლავის მიწა ამას წინათ უკრაინელმა მეგობრებმა გადასცეს ყველა ჯარისკაცის სიმბოლიური მამის — გიორგი მახარაშვილის როლის შემსრულებელს სსრ კავშირის სახალხო არტისტს სერგო ზაქარიაძეს. მსახიობმა ი. სინჯარაძის სადაფრობის დაზუსტების შემდეგ დუშეთის რაიონის სოფელ ანანურში მიწა გადასცა დაღუპულის ქვრივს, ცხაკაიელ პედაგოგ ლ. ნორაკიძეს.

გუშინ, 6 მაისს, უცგოროდს გაემგზავრნენ ი. სინჯარაძის უმცროსი ძმა სიმონი, მეომრის მშობლიური სოფლის ანანურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ბულაური და ადგილობრივი საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ბალიაშვილი.

ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ — ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ივანე ალექსანდრეს-ძე ლოლაშვილმა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად** დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი — აბდულმესიანი“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა ივანე ალექსანდრეს-ძე ლოლაშვილისთვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ცხაკაიაში დუშელებს შეუერთდნენ ჯარისკაცის ქვრივი ლ. ნორაკიძე, შვილი დიმიტრი, ცხაკაიას რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე ბ. მილიუტინი და სხვები.

ქართველი სტუმრები უცგოროდში იდღესასწაულებენ გამარჯვების დღეს, ერთ მუჭა ქართულ მიწას დაყრიან გმირის საფლავს.

ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲛᲭᲧᲝᲑᲠᲨᲘ!

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ — „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲯᲐᲨᲘᲡ წიგნი „გმირი ქალაქები“ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სტალინგრადის, სევასტოპოლისა და ოდესის დამცველთა მამაცობას ასახავს. ავტორმა თვითონ გაიარა სამამულო ომის მძიმე გზა და ამიტომაც უშუალო განცდით გადმოგვცემს გმირი ქალაქების კედლებთან გამართული სამკვიდრო-სასიცოცხლო შერკინების ეპიზოდებს.

ამას წინათ თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მოეწყო წიგნის განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვ. გოგოლაძემ, რ. ქორქიამ, ა. კოკილაშვილმა, ნ. შველიძემ, ს. ტალინგრადის გმირული ეპოპეის სახელოვანმა მონაწილემ ექიმმა კლარა ხოჭოლავამ, მათ კარგი შეფასება მისცეს წიგნს.

Ა. ᲯᲘᲫᲘᲐ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ“ № 9

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — ოქტომბრის იდეების, მის მონაპოვრებს დამაჯერებელი პროპაგანდა; **ლ. დოიჯაშვილი** — სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ლენინური გეგმის განხორციელება; **ა. მერცხულავა** — პირველ წლებში; **აბელ ენუქიძე; ზ. მაისაია, ი. ტაბიძე** — ახლის ძიება; **შ. ჯავახაძე** — ქარხნის ლექტორთა ჯგუფი; **ა. სურგულაძე** — ფრიალებს შრომის დიდების დროშა; **ნ. ავალიანი** — ქიმია ხალხის სამსახურში.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲯᲣᲠᲘᲡ ᲠᲕᲐ ᲛᲐᲭᲩᲘ

ᲓᲦᲔᲡ საკავშირო პირველობის მორიგი ტურია და უნდა ითქვას განსხვავებულიც. საქმე ის არის, რომ წამყვან გუნდებს, მათ შორის პირველ რიგში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებს, თავიანთ შემადგენლობაში არ ეყოლებათ საუკეთესო ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრების წევრები არიან და საერთაშორისო მატჩის გასამართავად შოტლანდიაში იმყოფებიან.

„ᲪᲮᲠᲙᲔᲓᲦ“ — „ᲙᲠᲘᲚᲘᲐ ᲡᲝᲕᲔᲢᲝᲕᲘ“

ᲒᲣᲨᲘᲜ დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტური. შედგა ერთი მატჩი. მოსკოვში ადგილობრივი „ტორპედო“ შეხვდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“. ასპარეზობა დამთავრდა კუიბიშეველთა გამარჯვებით 1:0.

ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲙᲠᲘᲒᲐ

ᲨᲐᲨᲘᲜᲡᲢᲠᲘ გერმანიაზე გამარჯვების დღეს, 9 მაისს, მიეძღვნა სამამულო ომის მონაწილეთა შეკრება, რომელიც ამ დღეებში თბილისის კიროვის რაიონის საწარმოთა — საქტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკისა და ტყავის № 2 ქარხნის პარტორგანიზაციების ინიციატივით გაიმართა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში. მოგონებებით გამოვიდნენ ძველი გვარდიელები.

შეკრების დასასრულს ომის მონაწილეებს ჯადაეცათ გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო მედლები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელებმა ამ დღეებში ჩინებული საჩუქარი მიიღეს. მტკვრის მარჯვენა ნაპირის დასახლებაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კინოთეატრი „რუსთაველი“. კინოთეატრი ფართოეკრანიანია. მისი დარბაზი 850 კაცს იტევს.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ **ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** რსფსრ-ის „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდების მატჩი ფეხბურთში. სოხუმის „დინამო“ დამარცხდა ნოეფოროსისის „ცემენტთან“ მატჩში 1:3.

△ **ᲮᲕᲐᲚ** ვარშავაში სტარტი მიეცემა ერთ-ერთ პოპულარულ ასპარეზობას — მშვიდობის მრავალდღიან ველორბოლას. ველორბოლის მარმრუტია — ვარშავა-ბერლინი-პრაღა. დისტანცია 2.267 კილომეტრი გაყოფილია 16 ეტაპად.

△ **ᲒᲣᲨᲘᲜ** მოსკოვიდან იტალიაში გაემგზავრა სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ჰიდაობა ძიუ-დოში. საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონატში, რომელიც 11 მაისს დაიწყება.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ და ლენინგრადის მოჭადრაკეთა გუნდების მატჩ-ტურნირი, რომელიც ტრადიციული გახდა, ყოველთვის ჭადრაკის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია.

ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ

ტრადიციული მატჩ-ტურნირი

წლევანდელმა შეჯიბრებამ სტარტი ლენინგრადში, 7 მაისს აიღო. მეტოქეები შეთანხმდნენ იმაზე, **რომ შეჯიბრება მოეწყოს სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე სპარტაკიადით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა ასპარეზობის მსგავსად.**

დედაქალაქის სპორტულ ღირსებას იცავენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სმისლოვი, გროსმეისტერები ბრონშტეინი, აბერბახი, ხოლმოვი, ვასიუკოვი, საერთაშორისო ოსტატი **ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘ** და სხვ. ლენინგრადიდან გამოდიან **კორჩნოი, ფურმანი, ოსნოსი, ᲖᲚᲐᲓᲘᲜᲘᲠᲝᲕᲘ,** საერთაშორისო ოსტატი **ᲕᲝᲚᲙᲝᲕᲘᲩᲘ** და სხვები.

პირველ ტურში ოთხნახევარი საათის შემდეგ ანგარიში იყო 10,5:2,5 მოსკოველთა სასარგებლოდ.

„ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲡᲙᲐᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲖᲔ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის გათამაშება წყალში ტრამაში ერთ-ერთი მასობრივი და მიმზიდველი ასპარეზობაა. წელს იგი თბილისში ეწყობა და ფეხბურთად წარმოდგენს ოლიმპიური გუნდისათვის კანდიდატთა შესარჩევ შეჯიბრებას.

წყალში მხტომელები სტარტს დღეს იღებენ საქართველოს სპორტკავშირის საცურავ აუზში. შეჯიბრება სამ დღეს გაგრძელდება. 16 გუნდი შეიკრიბება ერთმანეთს პირველობას, რომლებიც შემადგენლობათა სიძლიერის მიხედვით გაყოფილია ორ ჯგუფად.

ძლიერი გუნდები გამოჭყავთ „სპარტაკს“, „დინამოს“, „ბურევესტნიკს“, „ტრუდს“, „ავანგარდს“.

ტრამპლინიდან ხტომაში მეტად მწვავე ბრძოლაა მოსალოდნელი ევროპის ჩემპიონ **მ. სიფონოვს, ვ. ვასილსა** და თბილისელ **ბ. პოლულიახს** შორის. ქალთა შორის უურადღებას იპყრობს სსრ კავშირის ჩემპიონის **ე. ანოხინასა,** ევროპის ჩემპიონის **გ. ალექსეევას** და **ვ. ბაკლანოვას** შეჯიბრება.

1967 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲝᲛᲥᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲗᲐ ᲝᲠᲘ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲪᲘᲠᲐᲟᲘ

15 მაისს ქ. სვერდლოვსკში 1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მე-7 ტირაჟი და 30 მაისს — ქ. დუშანბეში 1947 წელს გამოშვებული სახელმწიფო 3-პროცენტიანი მომგებიანი სესხის მოგებათა 117-ე ტირაჟი.

1947 წელს გამოშვებული სესხის ერთ თანრიგზე ყოველწლიურად გათამაშდება 62.500 მოგება 3.929.180 მანეთი თანხისა, მათ შორის 5000, 2500, 1000, 500, 100 და 40-მანეთიანი მოგებანი, ხოლო დამატებით ტირაჟში ამას გარდა, 10.000-მანეთიანი მოგება.

ამ სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟები 1967 წელს გაიმართება: 30 ივლისს, 30 სექტემბერს (ძირითადი და დამატებითი) და 30 ნოემბერს.

1966 წელს გამოშვებული სესხის ერთ თანრიგზე ყოველწლიურად გათამაშდება 75200 მოგება 4.100.480 მანეთი თანხისა, მათ შორის 5000, 2500, 1000, 500, 100 და 40-მანეთიანი მოგებანი.

ამ სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟები 1967 წელს გაიმართება: 30 ივნისს, 15 აგვისტოს, 30 სექტემბერს, 15 ნოემბერს და 30 დეკემბერს.

ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲝᲛᲥᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲗᲐ ᲝᲒᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲝᲗ, ᲠᲐ ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲘᲠᲝᲗ

9 ᲛᲐᲘᲡᲘ

09.50 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „მხედარი ქალაქის თავზე“. 11.00 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.30 — კონცერტი მოსწავლეთათვის (გორის მე-3 საშუალო სკოლის მხატვრული თვითმოქმედება). 15.55 — გადაცემათა პროგრამა. 16.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „არარატი“ ერევანი-„დინამო“ თბილისი (გადმოცემა ერევნიდან). 17.45 — ნახატი ფილმი. 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ნეფტიანიკი“ ბაქო-„ტორპედო“ ქუთაისი (გადმოცემა ბაქოდან). 19.50 — „წუთიერი დუმილი“.—გადაცემა, მიძღვნილი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაღუპულ მეომართა ნათელი ხსოვნისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან). 20.10 — სტუდიაში — ამერიკაკანადის სამხედრო ოლქის სარდალი, არმიის გენერალი ა. ტ. სტუჩენკო. 20.20 — ახალი ქართული დოკუმენტური ფილმები „სპორტსმენები“ და „ინგლისური ჩანახატები“. 20.55 — გადარჯვების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. 21.25 — მხატვრული ფილმი „შეხვედრა ელბაზე“. 23.05 — გადაცემათა პროგრამა 10 მაისისათვის. 23.10 — „ცისფერი ეკრანის